ეკატერინე კვაჭატაძე
ა. ქუთათელაძის სახ. თბილისის
სახელმწიფო სამხატვრო აკადემია

ნიაბის ეკლესიის 1682 წლის რელიეფი

ნიაბის (კასპის რ-ნი) წმ. გიორგის სახელობის X საუკუნის დარბაზული ეკლესია 1682 წელს ნიკოლოზ მაღალაძის თაოსნობით იქნა აღდგენილი. ამას მოწმობს ტაძრის ჩრდილოეთ ფასადზე შემონახული მხედრული წარწერაც[1]: "ადამს აქეთ შვიდი ათას ას ოთხმოცდა ათსა: აღვაშენე: მეორედ: საყდარი: ესე ნიაბს წმიდის გიორგისა მე მაღალაძემ: მღუდელ მონაზონმან ნიკოლოზ: შენდობა ბრძანეთ ჩემის სახლთ ხუცის პაპუასთვის: და დედის ელენესა: ქკს ტ̄ო:". (ტ̄ო = 1682 წ.)[2].

ტაძრის განახლების დროს ეკლესიის ჩრდილოეთი ფასადის ზედა ნაწილში არასწორი სწორკუთხედის, ოქროსფერი ქვიშაქვის საშუალო ზომის[3] რელიეფიანი ფილა ჩაიდგა (სურ. 1). რთულია გადაჭრით ითქვას, რელიეფური გამოსახულება ნიკოლოზ მაღალაძემ ნიაბის ტაძრის გარეპირის გასამშვენებლად საგანგებოდ თუ დაუკვეთა; მისი პირვანდელი ადგილსამყოფელი იქნებ სხვაგანაცაა საძიებელი? თუმც, შესანიშნია, რომ რელიეფური გამოსახულება სტილური თვალსაზრისით, უთუოდ, ტაძრის განახლების (XVII ს.) თანადროულია.

ნიაბის რელიეფი, ერთი შეხედვით, უჩვეულო სცენას ასახავს. კომპოზიციის თითქმის ცენტრში, მედალიონში მოქცეული ქრისტეს მცირე ზომის ნახევარფიგურაა გამოკვეთილი, მაკურთხეველი მარჯვენითა და მარცხენა ხელით პყრობილი სახარებით. ძალზე საყურადღებოა, რომ ქრისტეს შარავანდში ჯვარი, რომელიც ორნამენტად აღიქმება, სრულებით სქემატურ – სტილიზებული სახით იქმნება: ერთმანეთზე ლენტით რკალურად გადაბმული სამი კონცენტრიული წრით. ქრისტეს გარშემო წრიულად ლაგდება სამი ოთხფეხა ცხოველის: ხარის, ჯიხვისა და ლომის, ქრისტეს გამოსახულების ზომებთან შედარებით პროპორციულად ბევრად მოზრდილი ფიგურები. კომპოზიციის მარჯვენა მხარეს, ვერტიკალურ არეს თითქმის სრულად ავსებს მაღალღეროიანი, სტილიზებულ ფოთლებ და ყლორტებ გამოსხმული ბუჩქისებრი მცენარე, რომელიც, როგორც ჩანს, სიცოცხლის ხეს უნდა განასახიერებდეს (ხარი პირით მისკენ ისეა მიქცეული, თითქოს მის მოწიწკვნას აპირებდეს). დაბალი რელიეფით შესრულებული გამოსახულებები იმდროინდელი არაერთგვაროვანი სტილის ნიშნებს ატარებს. (ცხოველთა დაუნაწევრებელი ფიგურები, გლუვად გადათლილი სიბრტყობრივი ზედაპირებითა და მკვეთრი, ხისტი აბრისებით, ტლანქად, პირობითად გამოყენებული ჩლიქებითა და ბრჭყალებით, ძალზე მარტივი, სქემატური, გრაფიკულად ჩაჭრილი კონტურებით მოხაზული თვალებითა და ყურებით ისახება.) სახეითი ხერხების საკმაო პირობითობის მიუხედავად, ცხოველთა ფიგურები კომპოზიციაში თავისებური დინამიკის განცდას ბადებენ, რაც

[1] წარწერა წაკითხულია გიორგი გაგოშიძის მიერ.

[2] მდიდარი აზნაური პაპუა მაღალაძე კათალიკოსის სახლთუხუცესი იყო. ვ. ბერიძე, ძველი ქართული ხუროთმოძღვრება, თბ. 1974, გვ. 178

[3] სიგრძე – 44 სმ., სიმაღლე – 45 სმ., რელიეფური გამოსახულება ფასადზე განთავსებულია ცოკოლიდან 132 სმ. –ის სიმაღლეზე. რელიეფიანი ფილის ზომებისა და გამოსახულების ფოტოსურათის მოწოდებისთვის უღრმეს მადლობას მოვახსენებ გიორგი გაგოშიძეს.

თაეად კომპოზიციის წყობა – განლაგებით (მედალიონში მოქცეული მაცხოერის გარშემო არეზე წრიულად განთავსება, თაეების, მსრბოლი ფეხების მიმართულება) და, აგრეთეე, სილუეტების თავისებურად დენადი, ერთმანეთის მოპასუხე, მკაფიო ხაზების რიტმით იქმნება. თუ ცხოეელთა ფიგურების სილუეტის უმეტესი ნაწილი ხისტად, გრაფიკულ, მკეეთრ ხაზთა შემოწერით ამოიჭრება და მხოლოდ აქ-იქ ძლიეს თუ შეენიშნაეთ კიდეებში გამოსახულების ფონის მიმართ ცერად, დაფერდებით კეეთის ნიშნებს, მედალიონში მოქცეული ქრისტეს ნახეევარფიგურა, აგრეთეე მეტად განსოგადებული, დაბალი რელიეფით, მაგრამ შედარებით უფრო ამობურცული ფორმებითა და კიდეებში მომრგვალებისკენ მეტი მიდრეკით გამოისახება. ამის თეალსაჩინო დამადასტურებელია მაცხოერის ფართო მხრები, მკლავები, მაკურთხეელი მარჯვენის გრძელი თითები, სხეულზე სიბრტყით, მაგრამ ამობურცულ შრედ დადებული სახარება და, მეტადრე, მაცხოერის დაზიანებული, მაგრამ მაინც ნათლად სახილველი სახის საგანგებოდ გამოყეანილი ნაკეთები. დაბალი რელიეფით იკეეთება სტილიზებულფოთლებიანი, ერთმანეთში მოქნილად ელორტებგადანასკეული სიცოცხლის ხეც. მისი ცერად კეეთით, ღრმად ამოღარული ფოთლების ზედაპირები უმეტესად ბრტყელდება, ზოგანაც რამდენადმე სირბილით იბურცება.

ნიაბის რელიეფთან სტილურად ძალზე მახლობელია იმაეე დამკეეთის – ნიკოლოზის და მისი სახლიკაცის, პაპუა მაღალაძეების მიერ, ნიაბის ეკლესიის აღდგენამდე რამდენიმე წლით ადრე, 1679 წელს აგებული კოშკის სამ გარე კედელზე მოთავსებულ სამ რელიეფთაგან ერთ-ერთი – ცხოეელთა გამოსახულებებით (სურ. 2). კოშკის ერთ-ერთ (შესასეელელის მოპირდაპირე) ფასადზე, არარეგულარული სწორკუთხედის მოხაზულობის ფილაზე, ნიაბის რელიეფის მსგავსად, მარჯვნიდან მარცხნივ მიმართული მოძრაობით გამოსახული, ფილაზე მჭიდროდ დატეული, დაბალი რელიეფით გამოკეეთილი სამი ცხოეელია წარმოდგენილი – აქ სცენა უფრო დაძაბული ბრძოლის სახესაც იღებს. ნიაბისაგან განსხვაეებით, მაცხოერისა და სიცოცხლის ხის გამოსახულებებს აქ ეერ ეხედებით. ფილის მარჯეენა, ზედა მხარეს, ოღნაე დამრეცად, დიაგონალურად, თითქოს სრბოლის პოზაში მგელი გამოისახება; ქეემოთ მეტად უტრირებულად წაგრძელებულ – გაზნექილი ტანით, მუცელზე გადმოტარებული და აბზეკილი, გრძელი კუდით, ირემს წინა თათებით ნაფრენილი ლომი, ხოლო ლომის წინ – უკანა თათებზე, ეერტიკალურად ჩამჯდარი ირემი. ცხოეელთა ფიგურები, კელაე ნიაბის რელიეფის ნაირად, სწორად და გლუვად გადათლილი ზედაპირებით, დაუნაწეერებელი ფორმებით, თანაბარი სიბრტყითი ზედაპირებით, დაბალი რელიეფით ამოიჭრება. თეალები, კუდები, ყურები, ულეაში – გრაეირებითა და ზედაპირზე ღრმად ჩაკეეთილი ღარებით იქმნება. ფიგურათა ძალზე სუფთად, გრაფიკული ხაზის სისწორით ამოჭრილ სილუეტებში წამყეანი როლი კონტურის მკაფიოებასა და სიმკეეთრეს, ხაზის თაეისებურ დენადობას ენიჭება. ფიგურათა განზოგადებულად, პირობითად, ხისტად კეეთილი სილუეტების კიდეები, მომრგვალებისკენ მიდრეკას არ ამჟღაენებს, აქ, უფრო მეტად, გაწელილ – გადრეკილი სხეულების მკეეთრი და მოძრაეი ხაზია უპირატესი, ცხოეელები თითქოს აპლიკაციისებრ არიან ამოჭრილი და ქეის ზედაპირზე დაკრული.)

ნიაბის რელიეფური კომპოზიციის ანალოგი, თუნდაც რამდენადმე მსგაესი სცენა ქართული შუა საუკუნეების სახეით ხელოენებაში ჩეენთეის დღეისათეის უცნობია. ამ მხრივ გასათვალისწინებელი ჩანს გეიანი შუა საუკუნეების საფასადო სკულპტურის პროგრამებისა და გამოსახულებათა იკონოგრაფიული თაეისებურებაც: არაორდინარულობა, პოლისემანტიკური იდეით გაჯერებული იკონოგრაფიული მრაეალპლასტიანობა[4]. ცხოეელთა წრიულად განლაგებით შექმნილი, "მბრუნაეი" კომპოზიციის ცენტრში მარადიულობის სიმბოლო – წრიულ მედალიონში მოქცეული

მაკურთხეველი მაცხოვრისა და მის გვერდით ბუნქისებრი მცენარის სახით სამოთხის წიაღის – სიცოცხლის ხის გამოხატვა, პირველ ყოვლისა სამყაროს შექმნის, ქრისტიანულ სახვით ხელოვნებაში დამკვიდრებულ სცენას გვახსენებს.
როგორც ცნობილია, ძველი აღთქმის "დაბადებაში" აღწერილია თუ როგორ შექმნა ღმერთმა შესაქმეს მეხუთე დღეს ცხოველთა სამყარო. საყურადღებოა, რომ ამავე ხანის ქართული ხელნაწერი წიგნის მინიატიურის ერთი თვალსაჩინო ნიმუშის – "ყანჩაეთის ქამნგულანის" (1674 წ.)[5] დასურათებაშიც, სწორედ ქართულ სახვით ხელოვნებაში ასე იშვიათად ასახული ბიბლიური სიუჟეტებიდან "შესაქმეს" რამდენიმე ეპიზოდს ვხვდებით. თუმც იქ სცენები, ნიაბის ლაკონიურ-სიმბოლური ხასიათის კომპოზიციისგან განსხვავებით, ბევრად ნარატიულია და ძველი აღთქმის "დაბადების" თავის რამდენიმე ეპიზოდს ერცლად "მოგვითხრობს". გ. ქლდიაშვილი "ქამგულანის" მინიატიურაში "სამყაროს შექმნის" ციკლის წარმოჩენას ამ ხანაში სახვითი ხელოვნების დასავლეთევროპული ნიმუშების გავრცელებას უკავშირებს. მისი აზრით, დასავლეთ ევროპის ხელოვნების ასეთი ცხოველი ინტერესი ბიბლიური სიუჟეტების ნარატიული ასახვისადმი, ევროპისათვის დამახასიათებელი სამყაროს რეალისტური აღქმითაც შეიძლება აიხსნას. "ბიზანტიამ საერთოდ უარყო ძველი აღთქმის ის ეპიზოდები, სადაც ასახულია შექმნის მომენტი – იდეა პირველ ჩასახვისა, და ამოსავალ წერტილად დაიტოვა "შეცოდების" სცენა, რადგან აქედან იწყება დასჯისა და მონანიების იდეა"[6]. მართლაც, აღმოსავლეთქრისტიანული ხელოვნებისაგან განსხვავებით, მათ შორის ქართულისაც, ძველი აღთქმის სიუჟეტებმა (სადაც სწორედ შესაქმეს ეპიზოდებს დიდი ადგილი ეთმობათ) მეტი გავრცელება იმთავითვე დასავლეთ ევროპის ხელოვნებაში ჰპოვა (მაგ., სანტა მარია მაჯორე – IV ს., სანტ ანჯელო ინ ფორმის – XI ს., პალერმოს პალატინას კაპელა – XII ს., მონრეალე – XII ს., სიენა XIII ს. და სხვ.). ხოლო ამ ეპოქაში საქართველოში დასავლეთ ევროპის გავლენის შემოჭრისა კი, სავარაუდოა, ხელოვნების ნიმუშების გავრცელებასთან ერთად, შესაძლოა მსოფლმხედველობრივ ცვლილებებსაც (რეალიზმის თავისებური ნიშნების შემოჭრა, სადაც სოფლიურის მნიშვნელოვანებაა ხაზგასმული)[7] აირეკლავდეს. და მაინც, რთულია აიხსნას ამ ხანის ქართულ სახვით ხელოვნებაში ნიაბის ეკლესიის რელიეფის "შესაქმეს" სცენის "გაჩენა" მხოლოდ დასავლეთ ევროპასთან მიმართებით. როგორც ზემოთ აღინიშნა, თანადროულ, გვიანი შუა საუკუნეების საფასადო სკულპტურაში ისეთი სცენები და სიუჟეტები "ამოტივტივდება", რომელნიც ან მივიწყებული იყო (მაცხოვრისა და მთავარანგელოზთა გამოსახულებების მედალიონებში მოქცევა, სიცოცხლის ხეები, "მიჯაჭვული" ლომები) ან საერთოდ არ ყოფილა გავრცელებული შუა საუკუნეების ქართულ ხელოვნებაში (ფეხმორთხმული ღმრთისმშობელი, უჯრომშარავანდიანი მაცხოვარი, ქრისტეს "განედლებული" სახით წარმოდგენა). იმავდროულად, ეს კომპოზიციები თავისებურ, ახლებურ, ქართულ ხელოვნებაში ორიგინალურ იკონოგრაფიულ რედაქციებსა და საფასადო სკულპტურისთვის უცნობ კომპოზიციებსა

---

[4] ე. კვაჭატაძე, გვიანი შუა საუკუნეების ეკლესიათა საფასადო სკულპტურა (ანანურის, საგარეჯოს პეტრე-პავლეს, ყინცვისის "გიგოს საყდრის" ტაძართა რელიეფები) (ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი დისერტაცია), თბ. 2005

[5] გ. ქლდიაშვილი, "ყანჩაეთის ქამნგულანის" პირველი ოსტატი. საქ. მეცნ. აკადემიის მაცნე (ისტ. არქ. ეთნ. ხელოვ. სერია), 1975, №2, გვ. 139-148.

[6] იქვე, გვ. 147.

[7] უნდა შევნიშნოთ, რომ დასავლეთ ევროპის ხელოვნების ჩამდგრომ გავლენებს ქართულ ხელოვნებაში უფრო მოგვიანებით – XVIII-XIX სს. –ში – შეიძლება თვალი გავადევნოთ. იხ. მ. ჯანჯალია, წმ. ნინოს ცხოვრების ციკლი ბოდბის ტაძრის მოხატულობაში (დისერტაცია ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, ხელნაწერი), თბ., 1994წ.

თუ მოტივებს გვთავაზობს (ანანურის, საგარეჯოსა და "გიგოს საყდრის" ტიმპანის რელიეფების უფლის დიდების ორიგინალური კომპოზიცია, კუდებით გადაჭდობილი გველეშაპების დამთრგუნველი ვეება ჯვრები, ვაზის სახით გადმოცემული სიცოცხლის ხეებს მიბმული მთავარანგელოზთა ფიგურები, წმ. ნიკოლოზის იკონური საფასადო რელიეფი; ამასთანავე – გვიანი შუა საუკუნეებისათვის დამახასიათებელი იკონოგრაფია – გვირგვინოსანი ღმრთისმშობელი და ქრისტე, რაშიაც აისახა დასავლური ხელოვნების გავლენა).

საგულისხმო კითხვებს აღძრავს ნიაბის რელიეფზე ქრისტეს შარავანდში ჯვრის სრულიად უჩვეულოდ დეკორატიული – სტილიზებული სახით გამოსახვაც, რაც ზოგჯერ ქრისტეს იდენტიფიცირების საკითხსაც კი საეჭვოს ხდის[1]. ამასთან დაკავშირებით საყურადღებოა თანადროული საფასადო სკულპტურის (ასევე ჭედური ხელოვნებისა და კედლის მხატვრობის) რამდენიმე ნიმუშის მოხმობა: ანანურის (1689 წ.) (სურ. 3), საგარეჯოს პეტრე-პავლესა (1712 წ.) (სურ.4) და ყინცვისის "გიგოს საყდრის" (XVII ს.) (სურ. 5) ტიმპანით ქრისტეს დიდების კომპოზიციაში, სადაც, საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, ქრისტეს გამოსახულებათა სწორედ მედალიონში (კლიპეუს) მოთავსება, მაცხოვარი უჯვრო შარავანდითა და, ამავე დროს, (საგარეჯოს "პეტრე-პავლეში") მასში ჩაწერილი დეკორატიული წრეებით -"ღილებით" გამოისახება. სხვა მაგალითთაგან აღსანიშნავია ბოდორნის მაცხოვრის ჭედური ხატი ღმრთისმშობელი ყრმით (XVI ს.); კლდისუბნის XVI საუკუნის ჩეილედი ღმრთისმშობლის ხატი; ცაიშის XVII საუკუნის ჭედური ხატი ღმრთისმშობელი ყრმით; ხობის 1676 წლის ჭედური ხატი, გელათის მთავარი ტაძრის ჩრდილო-აღმოსავლეთი ეკვტერის XVII საუკუნის საკმარისად კარგად შემორჩენილ მხატვრობაში – მეფისა და დედოფლის კურთხევის სცენა; ნაკურალეშის 1660-70 –იანი წლების, ასევე კარგად შემორჩენილი კედლის მხატვრობა და სხვ.

ნიშანდობლივია, რომ გვიანი შუა საუკუნეების სახვით ხელოვნებაში (კედლის მხატვრობაში, ხატწერაში, ლითონმჭანდაკებლობაში) ქრისტეს შარავანდის გამოსახვისას უმეტესად გავრცელებულია მასში ჯვრის ძალზე მართლად გავლებული გრაფიკული ხაზებით გადმოცემა, რომელიც ზოგჯერ პირველი შეხედვისას შეუმჩნეველიც კი რჩება. გვიანი შუა საუკუნეების მხატვრობასა და ჭედურ ხელოვნებაში, აგრეთვე, მეტად გახშირებულია ქრისტეს შარავანდში, "არსის" ("რომელი არს") აღმნიშვნელი ბერძნული ასოების – ჯვრის დამაბოლოებელ არეებზე განთავსება, ხშირად, საკუთრივ ჯვრის მკლავების აღნიშვნის გარეშეც. საგულისხმოა ისიც, რომ ამ ხანის ჭედურ ნიმუშებზე ქრისტეს შარავანდი თითქმის სრულად ივსება მასზე მიმობნეული ძვირფასი თვლებითა და ამოჭედილი მცენარეული ორნამენტით, წვრილად გავლებული ჯვრის მკლავების ხაზები თუ "არსის" გამომხატველი გრაფემები კი, (იმ შემთხვევებში, თუ იგი გამოისახება) ფერად-ფერად ქვებსა და ჩუქურთმის ხვია-ხლართებში "იკარგება" კიდეც. სახვით ხელოვნებაში მაცხოვრის უჯვრო შარავანდით გამოსახვას, უთუოდ, თავისი შინაარსისმიერი, საღმრთისმეტყველო საფუძველი ექნებოდა, რომელზედაც ჩვენთვის ამჟამად მსჯელობა მეტად ძნელია. საცნაურია, რომ ჩვენთვის ცნობილ ნიმუშთა უმეტესობა უჯვრო შარავანდით გამოსახულ მაცხოვარს წარმოაჩენს ან ემანუელის და პირი ღმრთისას სახით ან ფერისცვალებისა თუ ფერადოვან (ერთდროულად წრიულ და რომბისებრ) ნათებაში. ამ თვალსაზრისით, თავად კომპოზიციის შინაარსი, მისი თეოფანიური არსი ხდება ყურადსაღები და საგულისხმო. ანანურის, საგარეჯოსა

[1] რ. შმერლინგი მას არ განიხილავს როგორც ქრისტეს გამოსახულებას - რ. შმერლინგი, XVII საუკუნის დეკორაციული ქანდაკების ნიმუში – გიგოს საყდარი სოფ. ყინცვისში. საქ. სსრ. მეც. აკადემიის მოამბე, ტ. X, №9, 1949, გვ. 577-58.

და "გიგოს საყდრის" ეკლესიათა ტიმპანის სამეთოხის წიაღში. მარადიულობის ხიმბოლო – წრეში, წარმოსენილი ეს უფლის დიდების კომპოზიცია უკვე ერთის – დაუსაბამო უფლის მარადიულ სუფევას, მეუფებას მიანიშნებს. უფლისა, რომელიც არის შესაქმემდელი ღმრთის («ზეობილი უწინარეს ყოველთა საუკუნეთა, ნათელი ნათლისაგან», მრწამსი). მსხვილი განკაცებული ძისა და (მეორედ დიდებით მოელინებისას) მსაჯული უფლის კრებითი სახე. მეტად საგულისხმოა, აგრეთვე, რიგორც ზემოთ ითქვა, ამ ეპიზოდში, ქრისტეს შარავანდში ბერძნული ასოებით «რომელი არსის» აღნიშვნის განსაკუთრებულად გავრცელება. ეგო ხომ მოსესთვის ცეცხლის სახედ განცხადებული უფლის სახელია: "მე ვარ რომელი ვარ" (გამოსვ. 3,11; შეად. იოანე 8,58 – "აბრაამის ყოფადმდე მე ვარ"; იოანე 13,19 - "ეიდრე ყოფადმდე .. მე ვარ") ანუ ის უფლის განცხადების გამოვლინებაა. ნეგნს ძეგლებში, მართალია, ქრისტეს შარავანდში წარწერა არ არის დაცანილი (გამოსახვის მეტად პირობითი ხერხების ფარგლებში, ეს, ალბათ, კანონზომიერიც არის), მაგრამ ეპოქისმიერი ტენდენცია თავისთავად გასათვალისწინებელია. ალბე არსებითი კი, ეფიქრობთ,"გიგოს საყდრის" ტიმპანის კომპოზიციაში თავად მაცხოვრის ფიგურის პირდაპირ განედლებული სახით (ერთგვარი ჯვარიეით) გადმოცემაა,რაც,მიუხედავად უჯერო შარავანდისა,ფიგურის მაცხოვრად გაიგივების მიმართ დაეჭვების საფუძველს გამორიცხავს,ეინაიდან სხეულის განედლებული,აყვავებული რტოებით გამოსახვა – უდაოდ,სიცოცხლის ხედ გაგებული მაცხოვრის სახეგაა.

ეფიქრობთ,ნიაბის რელიეფური კომპოზიცია საესებით შეესაბამება ეპოქის რთულ და მრავალგვაროვან სტილურ და იკონოგრაფიულ სპეციფიკას,სადაც შესაძლებლად იხილვება ამ სცენის "შესაქმეს" ეპიზოდის გამოსახულებად მიჩნევა.

Resume

Catherine Kvachatadze
Stone Relief of 1682 from the Niabi Church

10th c. aisles vaulted church of St. George in Niabi (Kaspi district, eastern Georgia) was renewed in 1682 by the initiative of Nicholas Magaladze. During the renovation, a relief plaque was embodied in the north façade of the church.

Niabi relief seems to represent quite an unusual scene – almost in the centre, a small half-figure of Christ blessing with His right hand and holding the Gospel in His left hand, is inscribed in a medallion. Three animals: an ox, a mouflon and a lion are carved circularly around Christ. In the right part of the composition, a bush-like plant with stylised leaves and branches is depicted.

Neither an analogy of the Niabi relief composition, nor a more or less similar scene is known in the medieval Georgian fine arts at present. Depiction of the Blessing Saviour inscribed in a circular medallion

* ე. კვაჭატაძე, ბეიანი შუა საუკუნეების ეკლესიათა . . . , გვ. 91-94.

– symbolising eternity – in the centre of a "rotating" composition formed by the circular arrangement of the animals, as well as the bush-like plant, indicative of the Paradise – the Tree of Life – next to the Saviour, is first and foremost, reminiscent of the Creation of the World – a scene widespread in the Christian fine arts. It is noteworthy that from the Biblical subjects, so rarely depicted in the Georgian fine arts, several episodes of the Genesis are selected and included in the illumination of the Late Medieval liturgical codex – Kanchaeti Zhamngulani (1674). Interesting questions are arisen by unusually decorative and stylised treatment of the cross on the nimbus of Christ in Niabi relief.

Niabi relief composition fully corresponds to the complicated and diverse stylistic and iconographic peculiarities of the epoch, within which it might be interpreted as an image of the Genesis episode.



სურ. 1. ნიაბი. ჩრდილოეთი ფასადი. 1682 წლის რელიეფი. 2003 წ.

სურ. 2. მაღალაანთ კოშკი. რელიეფი. 2002 წ.



სურ. 3. ანანური. ჩრდილოეთი კარის ტიმპანი



სურ. 4. საგარეჯო, პეტრე-პაველე. სამხრეთი კარის ტიმპანი

სურ. 5. ყინცვისის „გიგოს საყდარი“. დასავლეთი კარის ტიმპანი